პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

27 დეკემბერი ხუთშაბათი 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 301 (15818)

1973—ბოლო კვირის დამკვრელური დღეები

მეტი მეცხოველეობის პროდუქტები—სამშობლოს

საქართველოს სხ რესპუბლიკამ შეასრულა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის სახალხო-სამეურნეო გეგმა

საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებიც ჩაბმული არიან სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში 15 დეკემბერს ვადამდე შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის წლიური გეგმა.

შარშანდელთან შედარებით სახელმწიფოს მიეყიდა მეტი: ხორცი 1.500 ტონა, რძე 13.700 ტონა, კვერცხი 68,2 მილიონი ცალი, მატყელი 327 ტონა.

სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვა გრძელდება. (საქინფორმი).

ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲓᲜᲔᲜ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲘ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ

გაერთიანება „მთავართბილმშენის“ სამშენებლო ორგანიზაციებმა ხუთწლედის მესამე გადამწყვეტ წელს უკეთ მოაწყეს შრომა, ფართოდ დანერგეს მშენებლობის მოწინავე მეთოდები, სოციალისტური შეჯიბრება უფრო ქმედითი და მიზანსწრაფული გახდა. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ მშენებლებმა წლიური გეგმა 24 დეკემბრისათვის შეასრულეს.

მშენებლებს უნდა შეესრულებინათ 72.785 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, ფაქტიურად 24 დეკემბრისათვის შესრულებული იყო 72.800 ათასი მანეთის სამუშაოები.

მშენებლებმა ვალდებულება იკისრეს წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით ერთი მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შეასრულონ, შექმნან მარგანმატი ხუთწლედის მეოთხე წლის რიტმული, გამართული მუშაობისათვის.

ეს რეფერატის აღნობა გააკეთა „მთავართბილმშენის“ უფროსმა ბ. ზატუაშვილმა.

ᲤᲔᲠᲝᲛᲓᲜᲝᲒᲔᲚᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ზესტაფონი. (საკ. კორ.) გ. ნ. ნიკოლაძის სახელობის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივმა (დირექტორი ი. ცქიტაშვილი, პარტიული კომიტეტის მდივანი თ. ჯაჯოჩაშვილი), რომელიც ზაპოროჟიელ და ალაკევრდელ მეტალურგებს ეჯიბრება, ახალი წარმატება მოიპოვა. მან ერთი კვირით ადრე შეასრულა მეცხრე ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის გეგმა და პროდუქციას მომავალი წლის ანგარიშში იძლევა.

ზესტაფონელმა მეტალურგებმა წელს დაზოგეს 11,5 მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია. ოსსანიშნავია, რომ ხუთწლედის დასაწყისიდან რეალიზებულია 4.797 ათასი მანეთის ზეგეგმითი ძვირფასი ფეროშენადნობები.

ქარხნის კოლექტივის წარმატებაში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, ლენინის ორდენოსანს ვ. გელაშვილს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, სოციალისტური შრომის გმირს კ. მდივანს, სოციალისტური შრომის გმირს გ. ნანიტაშვილს, მდნობელთა ბრიგადირებს დ. გიორგაძეს, ო. ბოჭორიშვილს, ლ. თურქაძეს, ზ. ბუცხრიკიძეს, მდნობელებს დემურ და ომარ ფერაძეებს, ტ. მიქაბერიძეს და ა. ტალახაძეს.

ᲤᲔᲠᲝᲛᲓᲜᲝᲒᲔᲚᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ზესტაფონი. (საკ. კორ.) გ. ნ. ნიკოლაძის სახელობის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივმა (დირექტორი ი. ცქიტაშვილი, პარტიული კომიტეტის მდივანი თ. ჯაჯოჩაშვილი), რომელიც ზაპოროჟიელ და ალაკევრდელ მეტალურგებს ეჯიბრება, ახალი წარმატება მოიპოვა. მან ერთი კვირით ადრე შეასრულა მეცხრე ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის გეგმა და პროდუქციას მომავალი წლის ანგარიშში იძლევა.

ზესტაფონელმა მეტალურგებმა წელს დაზოგეს 11,5 მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია. ოსსანიშნავია, რომ ხუთწლედის დასაწყისიდან რეალიზებულია 4.797 ათასი მანეთის ზეგეგმითი ძვირფასი ფეროშენადნობები.

ქარხნის კოლექტივის წარმატებაში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, ლენინის ორდენოსანს ვ. გელაშვილს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, სოციალისტური შრომის გმირს კ. მდივანს, სოციალისტური შრომის გმირს გ. ნანიტაშვილს, მდნობელთა ბრიგადირებს დ. გიორგაძეს, ო. ბოჭორიშვილს, ლ. თურქაძეს, ზ. ბუცხრიკიძეს, მდნობელებს დემურ და ომარ ფერაძეებს, ტ. მიქაბერიძეს და ა. ტალახაძეს.

ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ—11 ᲗᲕᲔᲨᲘ

ტრესტ „საქმარმარიოლის“ ხარჩოების საყალიბე ქვაშების მადაროთა სამმართველოს კოლექტივმა წლიური საწარმოო გეგმა პირველი დეკემბრისათვის გადაკარბებით შეასრულა, სამაჭონლო პროდუქციის გამოშვებისა — 111,4 პროცენტით, რეალიზაციისა — 110,8 პროცენტით, საყალიბე ქვიშისა — 113,9 პროცენტით, კვარცის ქვიშისა — 103,2 პროცენტით, მარმარილოს ბლოკებისა — 150,6 პროცენტით.

სოციალისტურ შეჯიბრებაში თავი ისახელეს: ცვლის უფროსმა ფ. თამაგარმა, ექსკავატორის მეანქანეებმა თ. არჩვაძემ და ბ. მოსიაშვილმა, სატვირთო ავტომანქანის მძღოლმა გ. ვეფხიძემ, მტვირთავებმა შ. გეგეშვილმა და ბ. ცოფიშვილმა.

საწარმოს კოლექტივი კვლავ ძლიერებს შრომის ტემპს, ენერგიულად იბრძვის ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

ალგეთის მადაროთა სამმართველოს კოლექტივმა 20 დეკემბრისათვის შეასრულა წლიური საწარმოო გეგმა: პროდუქციის რეალიზაციისა — 106,1 პროცენტით, სამაჭონლო პროდუქციის გამოშვებისა — 111,2 პროცენტით, კვარცის — 111,9 პროცენტით, ბოლნისის ტუფისა — 100 პროცენტით.

სოციალისტურ შეჯიბრებაში თავი ისახელეს: მნგრეველებმა შ. დემეტრაშვილმა და გ. ნინიეფმა, მბურღავმა ნ. კოზლოვმა, ცვლის ოსტატმა ს. გრიგორიანმა, მნგრეველმა ვ. კიკურიშვილმა.

კოლექტივმა ვალდებულება იკისრა დარჩენილ დღეებში გამოუშვას შვიდი ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

ეს რეფერატის აღნობა ტრესტ „საქმარმარიოლის“ მმართველმა დ. ბაკრაძემ.

ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ

ხორცის, ყველ-კარაქისა და რძის მრეწველობის მუშაკებმა ვადამდე შეასრულეს ხორცის, ძეხვეულის, მოუხდელი რძის პროდუქციის, კარაქის, ცხიმიანი ყველის, ხორცისა და რძის კონსერვების წარმოების წლიური გეგმა და დამატებითი დავალება.

ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ 1973

27 დეკემბერი ხუთშაბათი **1973** ფასი 2 კაპ.

ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲔᲣᲚᲝ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲗᲐᲠᲯᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲕᲘᲥᲘᲡᲠᲔᲗ ᲓᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲗ ᲙᲘᲓᲔᲕᲔᲑᲘ!

ᲒᲣᲜᲘᲡ რაიონის მექანიზატორებმა შარი დაუჭირეს საგარეჯოელთა თარჯნობას და ვალდებულება იკისრეს 1974 წლის 25 იანვრისათვის მაღალხარისხოვნად შეაკეთონ ბოსტნეულის სათესი მანქანები, 25 თესვისათვის — ყველა ტრაქტორი და გუთანი, ხოლო 10 მარტისათვის — ყველა სათესი და კულტივატორი. 1974 წელს 4 პროცენტით გაზარდონ მექანიზატორთა შრომის ნაყოფიერება და ტექნიკის გამოყენების კოეფიციენტი, 3 პროცენტით შეამცირონ ტრაქტორებისა და მიწამგალი მოწყობილობის კაპიტალური შეკეთების ხარჯები.

27—28 თებერვალს მოეწყობა გაზაფხულისათვის ტექნიკის მზადყოფნის რაიონული დათვალიერება. აგზაფხულის სამუშაოებისათვის ტექნიკის სანიმუშოდ მომზადებისათვის კონკურტული ვალდებულებანი იკისრეს ბოჭანის, დიხაშხოს, ტრიბანიერის, მთისძირის, მუკუდისა და სხვა სოფლების მექანიზატორებმა.

მექანიზატორებმა პირობა დადეს მტკიცედ დაიცვან სახელმწიფო და შრომის დისციპლინა და 1974 წელს ყოველი ლონისძიებით უზრუნველყონ ყველა კულტურის მოსავლიანობის მკვეთრად გადიდება. („კომუნისტის“ კორ.).

ᲐᲮᲐᲠᲔᲚ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘ

ᲐᲮᲐᲠᲘᲡ ასს რესპუბლიკის მექანიზატორებმა, რომლებმაც მოიწონეს საგარეჯოს რაიონის მექანიზატორთა მიმართვა ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ ხუთწლედის მეოთხე წლის გაზაფხულს, თართოდ გაანაღეს სოციალისტური შეჯიბრება. ვალდებულების აღების დროს მათი ერთ-ერთი პირობა იყო მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალის ტრაქტორების რემონტის გეგმა შეესრულებინათ 28 დეკემბრისათვის.

ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად ზეინლებმა, ხარატებმა და რემონტზე სხვა მომუშავეებმა მთელი ძალღონით იმუშავეს და აქვთ პირველი შედეგიც. რემონტი გაუკეთეს 69 ტრაქტორს ნაკვლად 30 ტრაქტორისა და ამით მიმდინარე წლის ტრაქტორის რემონტის მეოთხე კვარტალის დავალება 230 პროცენტით გაანაღდეს.

ახლა სარემონტო სახელოსნოებში 1974 წლის პირველი კვარტალის ანგარიშში მუშაობენ.



პეტრე ილიას-ძე კლიმუკი.

ვალენტინ ვიტალის-ძე ლებედევი.

ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲐᲖᲔ—ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲑᲐᲒᲐᲥᲘᲗ

„ᲕᲝᲚᲒᲐᲛᲖᲐᲓᲔᲗ სამეცნიერო მოწყობილობა დედამიწაზე ტრანსპორტირებისათვის!“ — „სოიუზ-13“ ხომალდზე გადაცემული ეს რადიოგრამა ამას ნიშნავდა, რომ ორბიტული სამეცნიერო ლაბორატორია ამთავრებს მუშაობას.

დაძაბული და ნაყოფიერი იყო ორბიტაზე სამეცნიერო ვახტის რვა დღე, თვითეული გარშემოკალა 128 სამუშაო გარშემოელადან აღინიშნა მეცნიერებისათვის დიდმნიშვნელოვანი ექსპერიმენტები. შემთხვევითი არ არის, რომ ფრენის მართვის ცენტრში აკრედიტებულ ჟურნალისტთა მუშაობის გრაფიკი გავს სამეცნიერო კონფერენციის მუშაობას. ყოველდღიური შეხვედრები მეცნიერებთან, დასწრება ტექნიკურ კონსილიუმებზე, სადაც განიხილავენ მეცნიერული პროგრამის სხვადასხვა მხარეს, პოპულარული ლექციები ინფორმაციის ასტრონომიისა და კოსმოსური მოწყობილობების, ავტომატური მართვისა და კოსმოსური მედიცინის საკითხებზე.

დიახ, დადგა დრო, როცა კოსმონავტი ხდება მეცნიერის პირველი თანამშრომელი, ლაბორანტი, ტელეტაბის ოპერატორი, პროგრამისტი. დღეს პეტრე კლიმუკი და ვალენტინ ლებედევი დედამიწაზე დაშვების წინ ამზადებენ მეცნიერულ ბაგაჟს, რომელიც ინტერესებს ასტრონომებსა და გეოფიზიკოსებს, ცოდნის სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებს. ამ ფრენამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ „სოიუზს“ შეიძლება დაეკალოს კიდევ უფრო რთული სამეცნიერო-კვლევითი ამოცანები. საყურადღებოა, რომ „სოიუზის“ ხომალდის ორბიტული ნაკვეთური, რომელიც ხომალდის პროექტის თავდაპირველი იდეით გათვალისწინებული იყო კოსმონავტთა დასასვენებელ ადგილად, გადაქცეულია სამეცნიერო ლაბორატორიად. ხომალდის ბორტინჟინერმა ვალერი ლებედევმა აქ შრომითი დროის თითქმის ნახევარი გაატარა, მუშაობდა ტელესკოპებით, აყენებდა ხელსაწყოებს დედამიწის ტრანსპორტირებისათვის!“ — „სოიუზ-13“ ხომალდზე გადაცემული ეს რადიოგრამა ამას ნიშნავდა, რომ ორბიტული სამეცნიერო ლაბორატორია ამთავრებს მუშაობას.

დაძაბული და ნაყოფიერი იყო ორბიტაზე სამეცნიერო ვახტის რვა დღე, თვითეული გარშემოკალა 128 სამუშაო გარშემოელადან აღინიშნა მეცნიერებისათვის დიდმნიშვნელოვანი ექსპერიმენტები. შემთხვევითი არ არის, რომ ფრენის მართვის ცენტრში აკრედიტებულ ჟურნალისტთა მუშაობის გრაფიკი გავს სამეცნიერო კონფერენციის მუშაობას. ყოველდღიური შეხვედრები მეცნიერებთან, დასწრება ტექნიკურ კონსილიუმებზე, სადაც განიხილავენ მეცნიერული პროგრამის სხვადასხვა მხარეს, პოპულარული ლექციები ინფორმაციის ასტრონომიისა და კოსმოსური მოწყობილობების, ავტომატური მართვისა და კოსმოსური მედიცინის საკითხებზე.

დიახ, დადგა დრო, როცა კოსმონავტი ხდება მეცნიერის პირველი თანამშრომელი, ლაბორანტი, ტელეტაბის ოპერატორი, პროგრამისტი. დღეს პეტრე კლიმუკი და ვალენტინ ლებედევი დედამიწაზე დაშვების წინ ამზადებენ მეცნიერულ ბაგაჟს, რომელიც ინტერესებს ასტრონომებსა და გეოფიზიკოსებს, ცოდნის სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებს. ამ ფრენამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ „სოიუზს“ შეიძლება დაეკალოს კიდევ უფრო რთული სამეცნიერო-კვლევითი ამოცანები. საყურადღებოა, რომ „სოიუზის“ ხომალდის ორბიტული ნაკვეთური, რომელიც ხომალდის პროექტის თავდაპირველი იდეით გათვალისწინებული იყო კოსმონავტთა დასასვენებელ ადგილად, გადაქცეულია სამეცნიერო ლაბორატორიად. ხომალდის ბორტინჟინერმა ვალერი ლებედევმა აქ შრომითი დროის თითქმის ნახევარი გაატარა, მუშაობდა

„ᲡᲝᲘᲣᲖᲘ“-13: ᲤᲠᲔᲜᲐ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

ᲡᲐᲙᲚᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

1973 წლის 26 დეკემბერს ხომალდ „სოიუზ-13“-ში სამუშაოთა დამთავრების შემდეგ ამხანაგები პეტრე ილიას-ძე კლიმუკი და ვალენტინ ვიტალის-ძე ლებედევი დედამიწაზე დაბრუნდნენ. 11 საათსა და 50 წუთზე მოსკოვის დროით კოსმოსური ხომალდის „სოიუზ-13“-ის დასაშვები აპარატი რბილად დაჯდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ქალაქ ყარაგანდის სამხრეთ-დასავლეთით 200 კილომეტრზე.

სამედიცინო გამოკვლევამ ცხადყო, რომ დაშვების შემდეგ კოსმონავტები თავს ჯანმრთელად გრძნობენ.

რვა დღე-ღამის ორბიტული ფრენის დროს მოეწყო სხვადასხვაგვარი სამეცნიერო-ტექნიკური გამოკვლევები და ექსპერიმენტები.

ტელესკოპების „ორიონ-2“ სისტემის მეშვეობით მიღებულია სხვადასხვა თანავარსკვლავედის ვარსკვლავთა ულტრაიისფერი დიაპაზონის სპექტროგრამები.

ფრენის დროს მოეწყო დედამიწის ზედაპირის არეების სპექტროგრაფირება და მრავალზონალური გადაღება იმ მიზნით, რომ შეესწავლათ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი წარმონაქმნები სახალხო მეურნეობის ინტერესებისათვის.

სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევის პროგრამის შესაბამისად აპარატურა „ლევკოის“ გამოყენებით სწავლობდნენ თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის თავისებურებებს ადაპტაციის პერიოდის სხვადასხვა სტადიაში. უწონობის პირობებში სისტემა „ოაზის-2“-ის მეშვეობით ხდებოდა ცილოვანი ბიომასის მიღების შესაძლებლობის გამოკვლევა.

მეცნიერული ექსპერიმენტების შესრულებისას იხვეწებოდა ორიენტაციის ხელსაწყოები და მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ ტელესკოპების დამიზნების მაღალ სიზუსტეს.

ფრენის ყველა ეტაპზე ხომალდ „სოიუზ-13“-ის სისტემები და სამეცნიერო აპარატურა ნორმალურად მუშაობდა.

ხომალდის ფრენას საიმედოდ უზრუნველყოფდნენ დედამიწის საკომანდო-საზომი კომპლექსის საშუალებანი, რომელშიც შედიოდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე განლაგებული საზომი პუნქტები და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი გემები. ამუამად ამუშავებენ და სწავლობენ ფრენის დროს მიღებულ მონაცემებს.

ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲐᲖᲔ—ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲑᲐᲒᲐᲥᲘᲗ

„ᲕᲝᲚᲒᲐᲛᲖᲐᲓᲔᲗ

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲘ Ი. Ვ. ᲐᲜᲓᲠᲝᲞᲝᲕᲘ ᲔᲡᲢᲝᲜᲔᲗᲨᲘ

ᲗᲐᲚᲘᲜᲘ, 26 დეკემბერი. (საკ. კორ.). დღეს აქ ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ი. ვ. ანდროპოვი.

ბალტიის ვაგზალში ი. ვ. ანდროპოვს შეხვდნენ ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. ვ. კეგანი, ესტონეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. Ა. ᲕᲐᲓᲔᲠᲘ, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ᲒᲐ. Ი. ᲙᲚᲐᲣᲡᲝᲜᲘ, ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები, რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების სხვა ხელმძღვანელები.

იმავე დღეს ი. ვ. ᲐᲜᲓᲠᲝᲞᲝᲕᲘ შეხვდა ესტონეთის პარტიულ-სამეურნეო აქტივს. განიხილეს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებისა და იმ ამოცანების შესრულების საკითხები, რომლებიც დასახლია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სტატიაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმზე.

ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ

ხორცის, ყველ-კარაქისა და რძის მრეწველობის მუშაკებმა ვადამდე შეასრულეს ხორცის, ძეხვეულის, მოუხდელი რძის პროდუქციის, კარაქის, ცხიმიანი ყველის, ხორცისა და რძის კონსერვების წარმოების წლიური გეგმა და დამატებითი დავალება.

ᲛᲔᲐᲡᲘᲐᲗᲐᲡᲔ „ᲖᲐ�პᲝᲠᲝᲟᲔᲪᲘ“

ᲖᲐ�პᲝᲠᲝᲟᲘᲔ, 25 დეკემბერი. (საკ. კორ.). დღეს საავტომობილო ქარხანა „კომუნარის“ მთავარი საამწყობო კონვეიერიდან გადმოიდა წლის დამდეგიდან მეასიათასე მიკროლეტრაჟიანი მსუბუქი ავტომობილი „ზაპოროჟეცი“. ამდენი ავტომანქანა ქარხანას ჯერ არ გამოუშვია მათი წარმოების ორგანიზაციის დაწყებიდან.

ᲒᲐᲖᲘᲡ ᲨᲐᲓᲠᲔᲕᲐᲜᲘ ᲤᲔᲠᲒᲐᲜᲘᲡ ᲐᲮᲚᲝᲡ

ᲤᲔᲠᲒᲐᲜᲐ. ვაზის მძლავრმა შადრევანმა ამოხეთქა საზვერი ჭაბურღილიდან. რომელიც 2.250 მეტრ სიღრმეზე გაიყვანეს ფერგანის ოლქში ქანვიზის მოედანზე. დღემდე ეს საბადო, რომელიც გაზით ამარაგებს ანდიჯანს, სათბობს იძლეოდა შედარებით ახალგაზრდა ქანიდან — პალეოგენის ქანიდან. ახლა კი დაღსტურდა გეოლოგთა პროგნოზები ამ რაიონის უფრო ძველი — ცარცის დანალექების პერსპექტივების შესახებ. წინასწარი გამოანგარიშებით, ჭაბურღილის სადღეღამისო დებიტი ასიათასობით კუბურ მეტრს შეადგენს. (საკ. ინფ.).

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ, ᲒᲐᲓᲐᲛᲬᲧᲕᲔᲢᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ

სულ რადენიმე დღე დარჩა ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის ბოლომდე. მოწინავე საწარმოთა და შშენებლობათა ხუთ ახალი კოლექტივები უპატაკიებენ სამშობლოს გეგმების ვადამდე შესრულებას.

იმიერბაიკალის ჩრდილოეთის აუზის — ბუკაჩაჩის, მაპრის მადაროელებმა ამოიღეს შვიდასი ათასი ტონა ქვანახშირი და ვადამდე შეასრულეს წლიური დავალება. ვანსაკუთრებით წარმატებით შრომობდა ა. კაშინის ბრიგადა, რომელიც დღეღამეში ათას ტონა ქვანახშირს იძლევა. იმიერბაიკალელი მაღაროელთა ვაატი ვრძელდება. მათ გადაწყვიტეს დეკემბრის ბოლომდე ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის სახალხო მეურნეობის მიაწოდონ გეგმის გადამეტებით ორმოცდაათი ათას ტონაზე მეტი ქვანახშირი.

ქვანახშირის მოპოვებისა და გაგზავნის წლიური გეგმა შეასრულა აგრეთვე ყარაღანდის „სტახანოვსკაიის“ შაირის კოლექტივმა. ხუთწლედის დამდეგიდან სათბობის შუაგეგმითმა ანგარიშმა აქ 250 ათას ტონას გადააჭარბა. ამ საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს ქვანახშირის მოპოვების ოსტატებმა — სოციალისტური შრომის გმირმა ი. სუსლიაკოვმა, კომბაინერებმა ვ. ვოლკოვმა და ნ. აკიფიევმა, მუშამ ს. ტოკუმბაევმა და სხვებმა.

ხუთწლედის მესამე წლის ანგარიშში უკანასკნელი კუბური მეტრი მარქანი გაზიდეს არხანგელსკის ოლქის პლესეცკის ტყის მრეწველობის მეურნეობის დამამზადებლებმა. ამ მეურნეობას სოციალისტური შრომის გმირი ი. ლუკინი მეთაურობს. ქვემო საწყობში მიტანილია 280 ათასი კუბური მეტრი ცნობილი თეთრი ზღვის ნაძვის მერქანი — ათი ათასი კუბური მეტრით მეტი, ვიდრე შარშან. მეურნეობაში წარმატებით ითვისებენ ახალ მანქანებს, რომლებიც ხელს უწყობენ დამამზადებლებს ხე-ტყის დამზადება მექანიზებული გახადონ. აქ კარგად მუშაობენ გამსჩვილებული ბრიგადები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დამამზადებლთა საყოფაცხოვრებო პირობებს. ხუთწლედის დამდეგიდან აქ ააშენეს 10 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი სახლები, კულტურის სახლი, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, სანატორიუმ-პროფილაქტორიუმი.

შრომითი გამარჯვება მოიპოვა „ტუვაზაზესტის“ კომბინატის კოლექტივმა, რომელმაც ვადამდე შეასრულა აზბესტის ბრიგადა ხუთწლედის წლიური გეგმა. წლის დამდეგიდან დამზადებულია 46 ათასი ტონა აზბესტი — ხუთი ათასი ტონით მეტი, ვიდრე გასული წლის მანძილზე. დ. დუკტენ-ოოლისა და ვ. ბორუნოვას ცვლები დავალებას თითქმის ორმაგი გადაჭარბებით ასრულებენ.

პროდუქციის რეალიზაციის წლიური გეგმა ვადამდე შეასრულეს ალინინების რძის მრეწველობის გაერთიანების საწარმოებმა. ამასთანავე შესრულებულია მოგებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალებანი. წლის დამლევამდე გაერთიანება დავალების გადამეტებით გამოუშვებს ხუთ მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქციას. წლიური გეგმა დაამთავრეს აგრეთვე ყალმუხეთის ხორცისა და რძის მრეწველობის საწარმოო გაერთიანების კოლექტივმა.

ვადამდე შეასრულა „მზიური ქვის“ მოპოვების წლიური დავალება კალინინგრადის ქარვის კომბინატის კოლექტივმა — მიწის საგანძურიდან ამოღებულია ასობით ტონა ქარვა.

ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთ უმდიდრეს ფოსფორიტის მადანს ამუშავებს ზღვისპირეთის მხარის იაროსლავსკის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის კოლექტივი, რომელმაც ვადამდე შეასრულა ფოსფორიტის ნედლეულის გეგმა. ეს ამ კოლექტივის ოთხეულ-ხუთეულ-ექვსეულ-ოცეულ-ასეულ-ათეულ-ერთეულ ბრიგადა. ბრიგადა ბ. ბ. ბ.

პარტიული ორგანოების ანგარიშგება-არჩევნები

პარტიული კონფერენციები

გაიმართა ხულოს, ცხაკაიას, ცხინვალის, პირველი მაისის (ქალაქი თბილისი), კალინინის (ქალაქი თბილისი) რაიონული პარტიული კონფერენციები და საქართველოს საზღვაო სანაოსნოს პარტიული ორგანიზაციის კონფერენცია. ამ კონფერენციებმა განიხილეს საანგარიშო მოხსენებანი რაიონებისა და სანაოსნოს პარტიული კომიტეტებისა და თავიანთი პარტორგანიზაციათა სარევიზიო კომისიების მუშაობის შესახებ.

კონფერენციებზე სკკპ XXIV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდინარე პლენუმების გადაწყვეტილებების, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმიანობის თაობაზე ინფორმაციები გაკეთდეს: ხულოს რაიონის პარტიულ კონფერენციაზე — აჭარის ასსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ ა. ს. ანთაძემ, ცხაკაიას რაიონის პარტიულ კონფერენციაზე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველმა თ. ი. ხელაშვილმა, ცხინვალის რაიონის პარტიულ კონფერენციაზე — სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ბ. ი. მარდანოვმა. პირველი მაისის რაიონის პარტიულ კონფერენციაზე — საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ბ. ბილაშვილმა. კალინინის რაიონის პარტიულ კონფერენციაზე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ბ. დ. ჯავახიშვილმა, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს პარტიულ კონფერენციაზე — აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ი. ი. მარგველაშვილმა.

გაიმართა პარტიის ახლად არჩეული რაიკომების პირველი პლენუმები.

პაჭკორიის ხულოს რაიკომის პლენუმმა რაიკომის პირველ მდივნად აირჩია შ. ი. დავითაძე. მეორე მდივნად — ბ. ა. შავინიძე, მდივნად — ბ. ბ. ჯიმ. შერაძე.

პარტიის ცხაკაიას რაიკომის პლენუმმა რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ვ. პ. ესპანჯია. მეორე მდივნად — მ. ა. აბზილავა, მდივნად — რ. დ. ფაჩულია.

პარტიის ცხინვალის რაიკომის პლენუმმა რაიკომის პირველ მდივნად აირჩია რ. ჯ. ცხოვრებოვი, მეორე მდივნად — ა. ა. ბაბუციძე, მდივნად — რ. ა. ჩოჩიევი.

პარტიის პირველი მაისის რაიკომის პლენუმმა რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ო. მ. ივანაშვილი, მეორე მდივანი — ო. მ. ბოგდელაძე, მდივნად — ჯ. ნ. ბაბალაძე.

პარტიის კალინინის რაიკომის პლენუმმა რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ნ. ვ. ბურბენიძე, მეორე მდივნად — თ. ა. მარგველაშვილი, მდივნად — ა. ი. ლაბაძე.

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს პარტიული კომიტეტის მდივნად არჩეულია ბ. ბ. მახარაძე, მდივნის მოადგილედ — დ. ბ. ბელიძე. (საქინფორმი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ამ დღეებში შედგა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.

პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი, თუ როგორ სრულდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 14 სექტემბრის ბრძანებულება „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“.

სხდომაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონულმა საბჭოებმა, სამინისტროებმა, უწყებებმა, ადმინისტრაციულმა ორგანოებმა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად გარკვეული მუშაობა განხორციელეს აღნიშნული ბრძანებულების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს შესაბამისი დადგენილების შესასრულებლად.

ადგილობრივი საბჭოები სესიებზე და აღმასკომების სხდომებზე უფრო მეტად ამცოდავენ ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებულ საკითხებს. საბჭოების უმრავლესობასთან შექმნილია ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიები.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის, შინაგან საქმეთა და ვაჭრობის სამინისტროებმა, სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა.

ამავე დროს, როგორც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე აღინიშნა, რესპუბლიკაში ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლას ახასიათებს სეზონური ნაკლოვანებანი.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა ჯერ კიდევ ვერ დარაზმეს ყველა სახელმწიფო, ადმინისტრაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაცია ლოთობასთან საბრძოლველად, ვერ უზრუნველყვეს მათი მუშაობის კოორდინაცია. სათანადო ყურადღება არ ექცევა ლოთობის გავრცელების მიზეზების შესწავლას, ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის, შრომისა და დასვენების, მშრომელთა თავისუფალი დროს შინაარსიანად გამოყენების პრობლემებს და სხვ. სრულიად არადამაკმაყოფილებელია ამ საქმეში დეპუტატების, საბჭოების მუდმივი კომისიების, ამხანაგური სასამართლოებისა და საზოგადოებრიობის მონაწილეობა.

ადგილობრივი საბჭოების ზოგიერთ ადმასკომთან ჯერ კიდევ არ არის შექმნილი ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიები, ხოლო არსებულ კომისიებს საბჭოები არასაკმარისად ეხმარებიან და აკონტროლებენ (მახარაძის, თელავის, ზესტაფონის რაიონები, ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონი და სხვ.).

ადგილი აქვს მაღარი სპირტიანი სასმელების გაყიდვის შემთხვევებს იმ ობიექტებში, სადაც ეს აკრძალულია, განსაკუთრებით კი მსხვილი საწარმოების, მშენებლობების, სასწავლებლების, საბავშვო დაწესებულებების, სადგურების, აეროპორტების მახლობლად, მასობრივი დასვენების ადგილებში (ქ.ქ. ქუთაისი, თელავი, ზესტაფონი, ცხაკაია და ხულოს რაიონები). ზოგჯერ არყისა და კონიაკის რეალიზაციის უფლებას მოპოვების მიზნით სავაჭრო წერტილს ეძიებენ საბალნოდებას. სათანადო ყურადღება არ ექცევა იმას, რომ სავაჭრო ობიექტებში სასმელები არ მიკიდონ არასრულწლოვანებსა და მთვრალ პირთ და სხვ.

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივი ორგანოები ლოთობის წინააღმდეგ საბრძოლველად არ იყენებენ კანონით გათვალისწინებულ ყველა ღონისძიებას, სიმთვრალისათვის დაჯარიმების ან გამოსაფხიზლებელში მიყვანის შესახებ არ აცნობებენ წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და სხვ; არ იკვლევენ არასრულწლოვანის სიმთვრალეში ჩათრევის კონკრეტულ ვითარებას, არ ავლენენ შინ გამოხდილი არყის რეალიზაციის ფაქტებს;

სოფლის ყრილობებზე, მოსახლეობისა და მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე იშვიათად იხილავენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ზემოაღნიშნული ბრძანებულების შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს. არ ხორციელდება ქმედითი ღონისძიებანი წარსულის ისეთი მავნე ზნე-ჩვეულებებისა და გადმონაშთების წინააღმდეგ საბრძოლველად როგორიცაა ქელეხი, ნათლობა, რელიგიური დღესასწაულები, რომლებიც ხშირ შემთხვევებში დანაშაულის ჩადენის მიზეზი ხდება.

სხდომაზე განიხილეს აჯრეთვე წითელწყაროს, ონის და დმანისის რაიონებში შინასაოლქოშეურნეო დემოკრატიის პრინციპების დაცვის მდგომარეობა. აღინიშნა, რომ სამივე რაიონში გარკვეული მუშაობა მიმდინარეობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 28 აპრილის დადგენილების შესასრულებლად, რომელიც შეეხება შინასაოლქოშეურნეო დემოკრატიის პრინციპების დაცვას.

გასულ წელს წითელწყაროს რაიონული საბჭოს სესიამ და ონის რაიონსაბჭოს აღმასკომმა, ამავე რაიონების საქალაქო და ზოგიერთმა სასოფლო საბჭომ განიხილეს კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის, დისციპლინის და შინასაოლქოშეურნეო დემოკრატიის პრინციპების დაცვის საკითხები. რამდენადმე გაუმჯობესდა სარევიზიო კომისიების მუშაობაც. მეტი ყურადღება ეთმობა მიწათსარგებლობის კანონმდებლობის შესრულებას.

შინასაოლქოშეურნეო დემოკრატიის დაცვამ გარკვეულად შეიწყო ხელი იმას, რომ აღნიშნული რაიონების კოლმეურნეობებმა შეასრულეს სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმები.

ამასთან ერთად აღინიშნა, რომ წითელწყაროს, ონის და დმანისის რაიონებში ირღვევა შინასაოლქოშეურნეო დემოკრატიის პრინციპები, რომ ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს არ განუხორციელებიათ ყველა საჭირო ღონისძიება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 28 აპრილის დადგენილებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

კოლმეურნეობებში ხშირად საერთო კრებები ტარდება კვორუმის დარღვევით (ონის რაიონის სოფლები — შეუბანი, გლოლა, უწერა). არის შემთხვევები, როცა კოლმეურნეობათა საერთო და რწმუნებულთა კრებებზე განსახილველ მნიშვნელოვან საკითხებს წყვეტენ გამეორებები, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში — კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები.

გამეორებები კოლმეურნეობების წევრობიდან ათავისუფლებენ ან წევრებად იღებენ კოლმეურნეებს საერთო კრებებზე ამ საკითხების განუხილველად (ონის რაიონის სოფლები გლოლა და ნაკიეთი, წითელწყაროს რაიონის სოფელი ზემოქედი და სხვ.).

წითელწყაროს რაიონის სოფელ გამარჯვების ქედანოვის სახელობის კოლმეურნეობაში აქვს ადგილი კოლმეურნეთა უკანონო დაჯარიმების შემთხვევებს.

ზოგიერთ კოლმეურნეობაში ირღვევა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 11 იანვრის ბრძანებულება „კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების ნათესთა წანახდსასთვის პასუხისმგებლობის შესახებ“.

მთელ რიგ შემთხვევაში სუსტად მუშაობენ კოლმეურნეობების სარევიზიო კომისიები. კომისიების წევრები ვერ ეერკვევიან თავიანთ ფინანსიებში. ზოგჯერ მათი მუშაობა ფორმალურ ხასიათს ატარებს (ონის რაიონის სოფლები ღარი, კომანდელი, გლოლა, უწერა, დმანისის რაიონის სოფლები კაკლიანი და მამულა).

მოუწესრიგებელია კოლმეურნეთა შრომის წიგნაკების წარმოება.

ჯერ კიდევ სათანადო სამაღლეზე არ დგას შრომის დისციპლინა, კოლმეურნეთა ნაწილი არ მონაწილეობს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში.

პრეზიდიუმმა იმსჯელა დამნაშავეობასთან ბრძოლისა და გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკური ღონისძიებათა განხორციელების მდგომარეობის შესახებ ტყიბულის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ანგარიშის საფუძველზე.

აღინიშნა, რომ თუმცა ტყიბულის საქალაქო საბჭომ და მისდამი დაქვემდებარებულმა სასოფლო საბჭოებმა უკანასკნელ პერიოდში გარკვეული მუშაობა განახორციელეს ნაწილდ ფინანსდამდგარ საბრძოლველად, სახელმწიფო დისციპლინისა და საზოგადოებრივი წესრიგის განსამტკიცებლად, მაგრამ ქალაქ ტყიბულისა და მისდამი დაქვემდებარებულ სასოფლო საბჭოებში ჯერ კიდევ ბევრია სამართალდარღვევისა და სისხლის სამართლის დანაშაულის შემთხვევა.

მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ არ არის ჩამბარი საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში.

სუსტად მუშაობენ ქალაქის საბჭოს ახალგაზრდობის, სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუდმივი კომისიები, აგრეთვე აღმასკომთან არსებული ადმინისტრაციული, სამეთვალყურეო, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიები.

მომდინარე წელს გაიზარდა არასრულწლოვანთა მიერ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის შემთხვევათა რაოდენობა. საქალაქო და სასოფლო საბჭოების აღმასკომებისა და განათლების ორგანოების უპირველესი ამოცანა არის სკოლებიდან მოსწავლეთა განთავისუფლება და [illegible] ... ადგილობრივ ... ეფექტურად გაცდენის [illegible] ... ინტერნატებით საკადრო [illegible] ... ბოლოს, ... ეფექტურად [illegible] ... ადგილობრივ ... ეფექტურად [illegible] ... ადგილობრივ ... ეფექტურად [illegible] ... ადგილობრივ

მსოფლიო დღეს

უცხოეთის პრესის კომენტარი

ახლო აღმოსავლეთის პროგლემა უნდა გადაიჭრას

საზღვარგარეთის პრესა კომენტარს უძღვნის ახლო აღმოსავლეთის ჟენევის სახაო კონფერენციის პირველ ეტაპს. გაზეთები ყურადღებას აპყრობენ იმას, რომ პირველი დღიდანვე კონფერენციამ საქმიანი, კონსტრუქციული ხასიათი მიიღო. პრესაში დიდი რეზონანსი აქვს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს განცხადებას კონფერენციაზე, სადაც მან ჩამოაყალიბა საბჭოთა კავშირის პოზიცია ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მშვიდობიანი მოწესრიგების საკითხზე.

„კონფერენციის მუშაობის პირველმა ფაზამ, — წერს იტალიური გაზეთი „უნიტა“, — სისწრაფისა და ეფექტიანობის ნიშნით ჩაიარა“. კონფერენციის „საქმიან ხასიათს“ აღნიშნავს გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“. იგი ხაზს უსვამს მონაწილეთა მისწრაფებას „განუწყვეტელი ხასიათი მისცენ კონფერენციას“.

ინდოეთის საინფორმაციო სააგენტო იუნი აღნიშნავს, რომ კონფერენციის მონაწილეებმა „კოლექტიური ღონისძიებებით გაიფართოვეს ამ რაიონში მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში წინსვლის შესაძლებლობა“. „მშვიდობა ახლო აღმოსავლეთში უფრო ახლოს არის, ვიდრე ჟენევის კონფერენციის მოწვევამდე იყო“. — აღნიშნავს ინდოეთის მეორე საგენტო **პრეს ტრასტ ოფ ინდია.**

ინგლისურ გაზეთ **„ობსერვერს“** „მნიშვნელოვან მოვლენად მიაჩნია თვით კონფერენციის მოწვევა, მასში სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების უშუალო მონაწილეობის ფაქტი და მათი მისწრაფება — მიაღწიონ მტკიცე მოწესრიგებას“.

სოციალისტური ქვეყნების პრესამ მთლიანად ან დაწვრილებით გამოაქვეყნა ა. ა. გრომიკოს განცხადება კონფერენციაზე. იგი გამოირჩეოდა „განსაკუთრებული სიცხადით, პრინციპულობით და კონკრეტულობით“, — აღნიშნა ბულგარულმა **„ოტეჩესტვენ ფრონტმა“.** ჩეხოსლოვაკიის **„რუდე პრავო“** ხაზს უსვამს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის სტატუტებს იმის შესახებ, რომ, „მტკიცედ ადგას რა ახლო აღმოსავლეთში ვითარების რადიკალურად გაჯანსაღების ხაზს, საბჭოთა კავშირს არ დაუხვევია ამ პოზიციიდან და არ აპირებს ეკანდ დახვევას“. „საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის უაღრესად კონკრეტული და რეალისტური განცხადება, — წერს გაზეთი, — იმის ახალი დამაჯერებელი დადასტურება იყო, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საბჭოთა საგარეო პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში მდგომარეობის რადიკალურ გაჯანსაღებას“.

პოლონური **„ეიჩე ვარშავა“** წერს: საბჭოთა მინისტრის განცხადება გამსჭვალულია რეალისტური გადაწყვეტისადმი მისწრაფებით. მას არ დაუტოვებია არავითარი ეჭვი იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი კვლავ მხარს დაუჭერს არაბულ ქვეყნებს და რომ, სსრ კავშირს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მიაღწიოს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებათა განხორციელებას.

ინფლაცია, სიძვირე

ოტავა, 26 დეკემბერი. (საკდესი). მიწურული წელი კანადაში აღინიშნა ყველაზე მწვავე ინფლაციით უკანასკნელი 22 წლის განმავლობაში. კანადის სტატისტიკური ბიუროს მონაცემებით, ცხოვრების ღირებულება ქვეყანაში შარშანდელთან შედარებით 9,3 პროცენტით გაიზარდა, კვების პროდუქტების ფასები გადიდდა საშუალოდ 18,2 პროცენტით.

● ამგზეგი ფაქტები ● პროგლემები

საკადესი და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

ჩრდილოეთ ირლანდია

ბელფასტის კათოლიკურ რაიონებში და ოლსტერის სხვა ქალაქებში კვლავ დაძაბული მდგომარეობაა. სამხედროთა და პოლიციელთა პატრულები პერიოდულად ჩხრეკენ საცხოვრებელ კვარტალებს, მასობრივად აპატიმრებენ „ტერორისტულ საქმიანობაში ეჭვიტანილ“ პირებს, ჟუჩების გზაჯვარედინებზე დაყენებულია მავთულხლართის ბარიერები.

სურათზე: ჩვეულებრივი სცენა ბელფასტის ქუჩებში.

საკდესის ფოტო.

ო. დორტიკოსის გამოსვლა

კაკანა, 26 დეკემბერი. (საკდესი). უმაღლესი სახალხო სასამართლოს დიდ პრეზიდიუმი სახალხო სასამართლოების წევრთა მიერ თანამდებობის დაკავების ცერემონიაზე გამოვიდა აქ კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტი ოსვალდო დორტიკოსი, რომელმაც განაცხადა, რომ სასამართლოების ყველა წევრი არჩეულია ხალხისა და რევოლუციის სახელით. მან მოუწოდა სასამართლო სისტემის მუშაკებს სრულყონ თავიანთი პროფესიული ცოდნა, დაეუფლონ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, აწარმოონ განუწყვეტელი იდეოლოგიური ბრძოლა ძველი საზოგადოების გადმონაშთების წინააღმდეგ.

ჩვენ, ხაზი გაუსვა ორატორმა, გაზიარდით პერიოდს, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი რევოლუციის აღმშენებლობითი პროცესისათვის. ჩვენ მტკიცედ ვადგავართ სახელმწიფოს კონსტიტუციური განვითარებისა და ჩვენი პარტიის ორგანიზაციული განმტკიცების, საზოგადოებაში მისი ხელმძღვანელი როლის გაძლიერების გზას.

დორტიკოსი შეეხო ჩვენის ეკონომიურ პრობლემებს და თქვა, რომ კუბელი ხალხი წლეულდელ წელს ამთავრებს ახალი წარმატებებით ეკონომიკის განვითარებასა და წარმოების ორგანიზაციაში.

პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ამ კვირაში კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს, მინისტრთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრებმა და სხვა ხელმძღვანელებმა დაწვრილებით გააანალიზეს ეკონომიკის განვითარების 1974 წლის სახელმწიფო გეგმა. ახალ წელს, ხაზი გაუსვა მან, ჩვენს წინაშე დგას ძალიან რთული ეკონომიური ამოცანები. მომავალი წელი იქნება კუბის კომუნისტური პარტიის პირველი ყრილობისათვის მზადების წელი. ყრილობა 1975 წელს გაიმართება.

ᲣᲛᲐᲮᲡᲜᲐᲘᲠᲘ ᲞᲐᲛᲒᲔᲒᲘ

ᲟᲐᲜᲒᲒᲐᲓᲘ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

„ᲛᲘᲛᲐᲚᲐᲡᲘᲡ - ᲙᲐᲠᲘᲑᲭᲔ“

მსოფლიოში ყველაზე მაღალმთიანი სასტუმროა. იგი აგებულია ნეპალში, ევერესტის ფერდობებზე ზღვის დონიდან 4 ათას მეტრ სიმაღლეზე.

სასტუმრო აღჭურვილია თანამედროვე კომფორტის ყველა მიღწევით. იაპონია და ნეპალის ფირმებმა ამ უნიკალური შენობის აგებისას გაითვალისწინეს ყველაფერი გარდა... გაუშვეიფებული ჰაერისა. მაგრამ მაღალმთიანი სასახლის ადმინისტრაციამ გამოსავალს მაინც მიაგნო. სასტუმროში ჩამოსულ დამსვენებლებს და ტურისტებს სთავაზობენ უანგბადის ნიღბებს.

„ᲐᲛᲣᲠᲘᲡ ᲘᲡᲐᲠᲘ“ ᲐᲜᲣ ᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲐ ᲘᲐᲞᲝᲜᲣᲠᲐᲓ

ქორწინება და ქორწილი იაპონიაში უჩვეულოდ ძვირი ჯღება. ამიტომ საკმაოდ შეძლებული იაპონელებიც კი ქორწინებას საზღვარგარეთ ამჯობინებენ. იაპონიის ავიახაზებზე შემოიღეს სპეციალური რეისი საფრანგეთში და უკან. ამ რეისით დაფრინავენ თვითმფრინავები პოეტური სახელწოდებით „ამურის ისარი“. ქორწინების გაფორმება, ქორწილი უძველეს ციხე-სიმაგრე ლოი შატო დ'უსში. ტურენის პუნების წიაღში გასეირნება და საფრანგეთიდან იაპონიაში უკან დაბრუნება გაცილებით იაფი ჯდება, ვიდრე ტრადიციული იაპონური ქორწილი.

ᲡᲘᲐᲮᲚᲔ — ᲮᲘᲡ ᲡᲘ�გᲐᲠᲔᲢᲘ

ინგლისის ფირმა „პლანტმა“, რომელიც ძირითადად სინთეზური ქსოვილების მწარმოებელია, დაინყო... სიგარეტების გამოშვება, რეკლამას უკეთებს რა თავის პროდუქციას, ფირმის ადმინისტრაცია არწმუნებს მყიდველებს, რომ მან ექვსი წელი მოანდომა მწვეველთათვის ჩვეულებრივ სიგარეტზე ნაკლებად მავნე სიგარეტების გამოგონებას. „პლანტის“ მარკის სიგარეტში მხოლოდ 50 პროცენტი თამბაქოა, დანარჩენი კი სპეციალურად დამუშავებული ხის მასა. თუ რა ხისაგან არის იგი დამზადებული და რა ტექნოლოგიით, ეს ფირმის საიდუმლოებაა.

ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲔᲑᲝ, ᲐᲠ ᲛᲝᲒᲖᲔᲕᲐᲠᲝᲗ!

ავსტრალიელ ქალთა შორის დიდად პოპულარულია სპორტის უჩვეულო სახეობა — ცომის საჯენდრავის ტყორცნა. თანდათანობით ეს სპორტი კონტინენტის ფარგლებსაც კი სცილდება. ახლახან გამართულ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მტყორცნელები ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ინგლისიდან, ნიგერიიდან. ტყორცნელებმა ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩამოიტანეს ცომის ახალი ფორმა — ცომის ფაფუკი ტყორცნა. თანდათანობით ეს სპორტი კონტინენტის ფარგლებსაც კი სცილდება. ახლახან გამართულ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მტყორცნელები ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ინგლისიდან, ნიგერიიდან. ტურენის პუნების წიაღში გასეირნება და საფრანგეთიდან იაპონიაში უკან დაბრუნება გაცილებით იაფი ჯდება, ვიდრე ტრადიციული იაპონური ქორწილი.

მაღალი მეგობრობა

ევროპის სოციალისტური ქვეყნების ისტორიის „წელიწდეულის“ ფურცლებზე

მეგრობის სოციალისტური ქვეყნების ისტორიის „წელიწდეულის“ 1972 წლის საკაალურ ნომერში, რომელიც გერმანულ ენაზე გამოვიდა ბერლინში, დაბეჭდილია ნ. დაგაის საკმაოდ ვრცელი რეცენზია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ვ. ნ. მერკვილაძის მონოგრაფიულ ნაშრომზე — „საბჭოთა სახელმწიფოებრიობის შექმნა და განმტკიცება საქართველოში (1921-1936 წწ). იგი ამ რამდენიმე ხნის წინათ გამოუშვა რუსულ ენაზე გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“.

„წელიწდეული“ მაღალ შეფასებას აძლევს საბჭოთა სუვერენული სახელმწიფოს მშენებლობის თეორიული და პრაქტიკული საკითხების ავტორისეულ ინტერპრეტაციას, მათს მეცნიერულ გაშუქებას მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების პოზიციებიდან.

რეცენზიაში დამოწმებულია ლენინის შეხედულება ეროვნული საკითხის მსოფლიო მნიშვნელობის შესახებ, რომ ამიტომ იგი უნდა ვიკვლიოთ მსოფლიო ისტორიის თვალსაზრისით. „ამ საქმეში არსებითი წვლილი შეაქვთ საბჭოთა ისტორიკოსებს, — ნათქვამია რეცენზიაში, — თუ რაოდენ დიდ მუშაობას ეწევიან ისინი ამ მიმართულებით ამჟამად, ამას, სხვათა შორის, მოწმობს ქართველი ისტორიკოსის ვ. ნ. მერკვილაძის აქ განხილული წიგნი, რომელშიც უმთავრესად საბჭოთა საქართველოს მაგალითზე გამოკვლეულია სსრ კავშირში გაერთიანებულ ხალხთა სახელმწიფოებრიობის წარმოშობა, განმტკიცება და შემდგომი განვითარება“.

შემდეგ აღნიშნულია, რომ მონოგრაფიის ავტორი ეხება საკითხთა ფართო წრეს და დამაჯერებლად გახიხლავს საქართველოში ეროვნული საკითხის გადაწყვეტის საგულისხმო ისტორიულ გამოცდილებას“, რომ ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია იმ სპეციფიკურ თავისებურებებზე, რომლებიც დამახასიათებელია საბჭოთა საქართველოს შექმნისა და განვითარებისათვის. ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ლენინის ნაშრომებისა და დიდადაი პარტიული და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების დოკუმენტური მასალების ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე გამოკვლევაში ჩამოყალიბებულია საბჭოთა სახელმწიფოებრივი მშენებლობის მთავარი პრინციპები, მისი შემდგომი განვითარების კანონზომიერებანი და ტენდენციები.

მონოგრაფიაში მკაფიოდ არის გამოკვეთილი ის დებულება, რომ „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა შესაძლებელი გახდა მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად. სწორედ სოციალისტურმა გარდაქმნებმა მოამზადეს — ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური, ეროვნულ-კულტურული — ნიადაგი ამიერკავკასიის ხალხთა ბოლშევიკებისა და თვით ლენინის მიერ ეროვნულ საკითხში დასახული პოლიტიკის რეალიზაციის შედეგს, რომლის უმნიშვნელოვანეს ფაქტორებს, თავის მხრივ, წარმოადგენდა ერთა თვითგამორკვევა და თანასწორუფლებიანობა. დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის სხვადასხვა ერის მუშათა და მშრომელთა ერთობლივი ბრძოლა, მჭიდრო პოლიტიკური, სამხედრო და სამეურნეო კავშირი სოციალიზმის გზაზე დამდგარი ხალხებისა, მათი სამეურნეო და კულტურული განვითარების მეშვეობით“.

რეცენზიაში აღნიშნულია, რომ დეტალური გამოკვლევის საგუძველზე ავტორი იძლევა „კომუნისტური პარტიისა და ლენინის წარმმართველი როლის დასასიათებას.... ეს მრავალმხრივი გამოკვლევა ცხადყოფს, თუ როგორ იყენებდნენ საქართველოს კომუნისტები, ადგილობრივი და რეგიონალური თავისებურებების გათვალისწინებით, საბჭოთა რუსეთის მდიდარ გამოცდილებას“.

საბჭოთა საქართველოსა და მასში შემავალი აფხაზეთის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კონსტიტუციური სტატუსის დეტალური მეცნიერული ანალიზის შედეგად გაკეთებულია დასკვნა, რომ საქართველოს სსრ თვით წარმოადგენდა ფედერაციულ რესპუბლიკას. საბჭოების პირველი ყრილობის მიერ მიღებულმა კონსტიტუციამ საკანონმდებლო წესით გაფორმა საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობა საქართველოში და განამტკიცა პროლეტარიატის დიქტატურა საბჭოთა ხელისუფლების ფორმით. „იგი მოასწავებდა იმას, რომ სუვერენული გახდა ქართველი საბჭოთა ხალხი და განმტკიცდა მისი ხელისუფლების, ეროვნომიური საფუძვლები წარმოების საშუალებებზე სახელმწიფო საკუთრების დამყარებით“.

ჟურნალი განსაკუთრებით საინტერესოდ მიიჩნევს მონოგრაფიის ავტორის დასაბუთებულ თვალსაზრისს იმის შესახებ, თუ როგორი იყო ფედერაციის ფორმები და ის ურთიერთობა, რომელიც დამყარდა საქართველოსა და მასში შემავალი სახელმწიფო ეროვნულების ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლეს ორგანოებს შორის.

„წელიწდეულში“ გამოქვეყნებულ რეცენზიაში გამოთქმულია ზოგიერთი სასურველი წინადადება, რომელთა გათვალისწინება კიდევ უფრო საინტერესოს გახდიდა გამოკვლევას. ამასთან გაკეთებულია დასკვნა, რომ ქართველმა მეცნიერმა თავისი მონოგრაფიით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, სსრ კავშირის ხალხთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის აქტუალური პრობლემების მეცნიერული დამუშავების საქმეში.

საკადესის ცნობა

მიფრინავს „მოლნია-2“

1972 წლის 25 დეკემბერს საბჭოთა კავშირში დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების გამოყენებით კავშირის სისტემების შემდგომი განვითარების პროგრამის შესაბამისად მაღალ ელიფსურ ორბიტაზე გაშვებულია კავშირგაბმულობის თანამგზავრი „მოლნია-2“ სპორტულ სარტყლიანი აპარატურით, რომელიც უზრუნველყოფს სისტემის მუშაობას ტალღების სანტიმეტრიანი დიაპაზონით.

„მოლნია-2“ კავშირგაბმულობის თანამგზავრი გათვალისწინებულია საბჭოთა კავშირში შორეული სატელეფონო-სატელეგრაფო რადიოკავშირის სისტემის ექსპლოატაციის უზრუნველსაყოფად, სსრ კავშირის ცენტრალური ტელევიზიის პროგრამების გადასაცემად „ორბიტის“ ქსელისა და საერთაშორისო თანამშრომლობის პუნქტებში.

თანამგზავრი გაუვანილია ორბიტაზე, რომლის აპოგეა 40.865 კილომეტრი ჩრდილოეთის ნახევარსფეროში და პერიგეა — 466 კილომეტრი სამხრეთის ნახევარსფეროში.

თანამგზავრის მიმოქცევის პერიოდი 12 საათი და 17 წუთია, ორბიტის დახრილობა — 62,8 გრადუსი.

თანამგზავრზე ტელევიზიის პროგრამების გადამცემი და შორეული მრავალარხიანი რადიოკავშირის განმხორციელებელი აპარატურის გარდა დადგმულია საკომანდო-საზომი კომპლექსის აპარატურა, აგრეთვე თანამგზავრის ორიენტაციის, ორბიტის კორექციისა და ენერგოკვების სისტემები.

„მოლნია-2“ თანამგზავრის საშუალებით კავშირგაბმულობის სეანსები განხორციელდება დასახული პროგრამის შესაბამისად.

ᲣᲡᲘᲡᲮᲐᲠᲣᲚᲝ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲦᲔᲚᲘ

ვაშინგტონი, 26 დეკემბერი. (საკდესი). სიძვირის შემდგომი ზრდა, ინფლაციის გაძლიერება, მყიდველობითი უნარის შემცირება — ასეთია არასრული ნუსხა „საჩუქრებისა“, რომლებსაც გავლენიანი ყურნალის „ი. ს. ნიუს ენდ უორლდ რიპორტის“ აზრით, მოუტანს ამერიკელებს საახალწლოდ ტრადიციული სანტა-კლაუსი.

ეროვნული გამოკითხვის შედეგები, წერს ჟურნალი, მოწმობენ, რომ ამერიკელები ემზადებიან ძნელი ცხოვრებისათვის. ისინი ცდილობენ არ იყიდონ ბევრი საქონელი, თავს არიდებენ გართობებს, ცდილობენ დაზოგონ ფული „შავი დღისათვის“.

ენერგეტიკულმა კრიზისმა, რომელმაც შეერთებული შტატები მოიცვა და რომელიც სამრეწველო წარმოების შეკვეცას იწვევს, ახალი სადარდელი გაუჩინა ხალხს. ერთ-ერთი ყველაზე საჭირბოროტო საკითხი, რომელიც აწუხებს რიგით ამერიკელებს, აღნიშნავს ჟურნალი, — ეს არის საკითხი, ხომ არ დარჩება ოჯახის მეთაური უმუშევრად მომავალ წელს.

„ი. ს. ნიუს ენ უორლდ რიპორტის“ რეპორტიორებმა, რომლებიც ცდილობდნენ გამოერკვიათ ამერიკელთა ახლანდელი განწყობილება, ბევრი საყვედური მოისმინეს ხელისუფალთა მიმართ, რომლებმაც ვერ გადაჭრეს ქვეყნის მტკივნეული ეკონომიური პრობლემები. შედეგად, აღნიშნავს ჟურნალი, შემჩნეულია, რომ მკვეთრად დაეცა ნდობა მთავრობისა და მისი უნარისადმი — თავი გაართვას ინფლაციასა და ამერიკის ეკონომიკის სხვა უბედურებებს. განსაკუთრებით მკვეთრად აკრიტიკებენ ფასებისა და ხელფასისადმი კონტროლის სამთავრობო პროგრამას, რომელმაც „გაყინა“ მილიონობით ამერიკელის შემოსავალი, მაგრამ ვერ შეაჩერა სიძვირის ზრდა. 1973 წლის კვების პროდუქტების ფასებმა 18,8 პროცენტით აიწია შარშანდელთან შედარებით, ხოლო ცხოვრების ღირებულება საერთოდ ამ ხნის განმავლობაში 8 პროცენტით გაიზარდა.

პარიზი, 26 დეკემბერი. (საკდესი). საფრანგეთის ახლა დასავლეთ ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია ინფლაციისა და სიძვირის ზრდის ტემპის მხრივ. როგორც ეკონომისტები იუწყებიან, მოსალოდნელია, რომ ფასების ზრდა მიმდინარე წელს შეადგენს საშუალოდ 12 პროცენტს. დიდი ხანია საფრანგეთს არ უნახავს ისეთი თავბრუდამხვევი „ეტიკეტების ვალსი“. ასე უწოდებენ ხალხურად ფრანგები ფასების სწრაფ ცვლას მაღაზიების ვიტრინებში. მშრომელთა მატერიალურ მდგომარეობაზე განსაკუთრებით საგრძნობლად მოქმედებს სასურსათო საქონლის ფასების ზრდა.

26 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲗᲐᲡᲝ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘ

თეირანი, 26 დეკემბერი. (საკდესი). ირანში დამთავრდა სამეცნიერო და სასწავლო ფილმების მე-10 საერთაშორისო ფესტივალი, როგორ ორი ოქროს, ერთი ვერცხლისა და ორი სპეციალური პრიზი დაიმსახურეს საბჭოთა კინოფილმებმა.

ფესტივალის ლაურეატები გახდა საბჭოთა ფილმები „ფრინველი იქსი“, „ოქროს აგებულება“, „ზუქის ჰოლარიზაცია“ და „მინდა გაგიგო“.

ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ტრიპოლი, 26 დეკემბერი, (საკდესი). აფრიკის ქვეყნების პირველი კონფერენცია ნავთობის საკითხებზე მოეწყობა ლიბიის დედაქალაქში 2-დან 12 თებერვლამდე. ეს გამოცხადა არაბული რევოლუციის ახალი ამბების სააგენტომ.

კონფერენციის „განსახილველად შეტანილია შემდეგი საკითხები: აფრიკის ქვეყნების თანამშრომლობა ნავთობის მრეწველობის განვითარებაში, მენავობე სპეციალისტთა კადრების მომზადება, ნავთობის ბუდობების ექსპლოატაციის წესების შემუშავება.

კონფერენციას აწყობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აფრიკის ეკონომიური კომისია. კონფერენციის მომზადებისათვის ლიბიის ნავთობის სამინისტრომ შექმნა რამდენიმე სამუშაო ჯგუფი.

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ

სოფია, 26 დეკემბერი. (საკდესი) ბულგარეთის დედაქალაქში დაიწყო ბულგარეთის ავტომობილისტთა კავშირის ტექნიკური ცენტრის მშენებლობა. ეს იქნება ავტომობილების შეკეთებისა და მომსახურების უდიდესი კომპლექსი ქვეყანაში. აქვე იმუშავებს მოხალისე შოფერთა და ბულგარეთის საავტომობილო ტრანსპორტის კადრების მოსამზადებელი სკოლა. განზრახულია ტექნიკური ცენტრის პირველი რიგი საექსპლოატაციოდ გადასცენ 1974 წელს.

ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ტოკიო, 26 დეკემბერი. (საკდესი). დღეს იაპონიის მთავრობამ განაცხადა, რომ შემდეგშიც ყოველ ღონეს იხმარს, რათა განამტკიცოს და გაფართოოს ურთიერთობა არაბულ ქვეყნებთან. განცხადებაში, რომელიც დღეს გამოქვეყნდა იმასთან დაკავშირებით, რომ არაბულმა ქვეყნებმა გადაწყვიტეს შეცვალონ თავიანთი პოზიცია იაპონიის მიმართ, იაპონიის „თავრობა მიესალმა ამ ნაბიჯს და მიიჩნია იგი იმის დადასტურებად, რომ არაბულ ქვეყნებს სწორად ესმით იაპონიის პოზიცია ახლო აღმოსავლეთის საკითხში.

იაპონიის მთავრობა მოითხოვს ისრაელის ჯარების მთლიანად გაყვანას ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან და უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის ნომერ 242 რეზოლუციის შესრულებას.

ᲣᲚᲘᲛᲦᲐᲛᲝ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ

ბეირუთი, 26 დეკემბერი. (საკდესი). ძნელი ახალი წელი მოელის ლიბანის რესპუბლიკის მოსახლეობას. ეს, უწინარეს ყოვლისა, აიხსნება ქვეყნის ისტორიაში ცხოვრების ღირებულების უმაგალითო ზრდით. თანაბრად ოფიციალური სტატისტიკისა, კვების ბევრი პროდუქტის ფასები ამ ბოლო დროს ერთიორად და მეტად გადიდდა. როგორც ლიბანის პრემიერ-მინისტრმა ტაკიედინ სოლჰმა აღიარა ამასწინანდელ გამოსვლაში ტელევიზიით, სიძვირე ქვეყანაში პირველი მიზეზი იყო მშრომელთა და სტუდენტთა დიდი მღელვარებისა ბევრ ქალაქსა და დასახლებულ პუნქტში. სტუდენტთა და ახალგაზრდობის ყველაზე მძლავრი გამოსვლები მოხდა ჩრდილოეთ ლიბანის ქალაქ ტრიპოლში. უმგალითო სიძვირის წინააღმდეგ დემონსტრაციების ტალღა მთელ ქვეყანას მოედო.

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ:

სავალალო შედეგები

რომი, 26 დეკემბერი. საკდესის კორესპონდენტი ვ. მალიშე იუწყება: „მკაცრი ეკონომიკის რეჟიმი, რომელიც იტალიის მთავრობამ შემოიღო ენერგეტიკულ კრიზისთან დაკავშირებით, მიწურული წლის ნამდვილი სიმბოლო გახდა. სათბობის ნაკლებობამ გაართულა ისედაც მძიმე ეკონომიური მდგომარეობა, რომლებშიც ქვეყანა აღმოჩნდა სიძვირის განუწყვეტელი ზრდისა და მშრომელთა მდგომარეობის გაუარესების შედეგად.

განსაკუთრებით მკვეთრად გადიდდა ცხოვრების ღირებულება. სტატისტიკის ცენტრალური ინსტიტუტის მონაცემებით, მიმდინარე წლის ნოემბერში საცალო ფასები ქვეყანაში 1972 წლის ნოემბერთან შედარებით 10,7 პროცენტით გაიზარდა. გაძვირდა ხორცი, რძე, მაკარონი, პური, ერბო, ბოსტნეული, ხილი, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და ბევრი სხვა პირველი მოთხოვნილების საქონელი. 1973 წლის პირველი 9 თვის განმავლობაში 5.7 პროცენტით გადიდდა ბინის ქირა, ხოლო მომსახურება 10 პროცენტით გაძვირდა, გაიზარდა ბენზინისა და სოლარის ზეთის ფასები, რომელსაც სახლების გასათბობად იყენებენ. „შემაშფოთებელი“ უწოდა ქვეყანაში ფასების ზრდას გაზეთმა „პაეზე სერა“.

მშრომელთა უფლებებზე მეწარმეების შემოტევას „შუშათა კლასი, იტალიის მშრომელნი შეუპოვარი საგფიცავო ბრძოლით უპასუხებენ. სტატისტიკის ცენტრალური ინსტიტუტის ოფიციალური მონაცემებით, მიმდინარე წლის იანვრიდან ოქტომბრამდე გაფიცვებს შედეგად იტალიის მრეწველობაში დაიკარგა 150 მილიონ 43 ათასი სამუშაო საათი — ორჯერ მეტი, ვიდრე 1972 წლის პირველ ათ თვეში. მარტო გასულ თვეში გაფიცული იყო 4 მილიონი მუშა და მოსამსახურე.

ᲤᲘᲚᲐᲢᲔᲚᲘᲡ ᲞᲝᲠᲢᲤᲔᲚᲘ

ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲐ ᲨᲠᲘᲤᲢᲘ

ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ

**ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲐ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑ

საქართველოს ამა-ბარეთ

დამატებითი მატარებლები საახალწლო დღესასწაულისათვის

მზრუველთა სურვილისამებრ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ დამატებითი მატარებლები დანიშნა საახალწლო დღესასწაულისათვის.

გორდა განრიგით გათვალისწინებული შემადგენლობებისა, როგორც განაცხადა მაგისტრალის სამგზავრო სამსახურის უფროსმა ინჟინერმა ვ. ი. მასტიაშვილმა, დანიშნულია თბილისი-სოჩის დამატებითი მატარებელი, რომელიც ფორმირების სადგურიდან გავა 18 საათსა და 08 წუთზე მოსკოვის დროით და ყოველდღიურად ივლის 1974 წლის 14 იანვრამდე.

დამატებითი მატარებელი თბილისი-ბათუმი თბილისიდან გადის 28, 29, 30, 31 დეკემბერს, აგრეთვე 1974 წლის 1 და 2 იანვარს. მატარებელი ბათუმი-თბილისი ს ი ა ჯარის დედაქალაქიდან გამოვა 28, 29, 30, 31 დეკემბერს და 1, 2 იანვარს.

დაინიშნა აგრეთვე დამატებითი მატარებელი თბილისი-მოსკოვი, რომელიც თბილისიდან გავა 29 დეკემბერს. მატარებელი სოხუმი-მოსკოვი სოხუმიდან გავა 27 დეკემბერს 14 საათსა და 28 წუთზე.

საახალწლო დღესასწაულ ი ს დღეებში დანიშნულია აგრეთვე ბევრი ტურისტული მატარებელი. 28 დეკემბერს თბილისიდან გავა ტურისტული მატარებელი „საქართველო“, 27 დეკემბერს კი სოხუმიდან — ტურისტული მატარებელი „აფხაზეთი“.

ექსკურსანტები ეწვევიან ლენინგრადს, ხარკოვს, ულიანოვსკს, უფასო და ჩვენი ქვეყნის სხვა დიდ სამრეწველო და კულტურულ ცენტრებს, დაათვალიერებენ ღირსშესანიშნაობებს, მონაწილეობას მიიღებენ საახალწლო დღესასწაულებსა და კარნავალებში. (საქინფორმი).

„საქართველოს ავტომბილისტი“ № 24

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალ „საქართველოს ავტომბილისტის“ მორიგი, ოცდამეოთხე ნომერი.

საგნობრივ-მეთოდიკური ჟურნალების ახალი ნომრები

გამოვიდა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამეცნიერო-პედაგოგიურ ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ ყოველკვარტალური დამატებების სახით არსებული საგნობრივ-მეთოდიკური ჟურნალების „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, „რუსული ენა 3 გრუზინსკოე შკოლე“, „უცხოური ენები სკოლაში“ მორიგი, მეოთხე ნომერი.

ქალთა საკავშირო ჩემპიონატი

საშიშროება... აჩქარებაშია

გადადებულ პოზიციებს, ცხადია, მრავალი სპეციალისტი არჩევს. აქ ზოგჯერ მართლაც რომ მოულოდნელ გაგრძელებებს მიაგნებენ ხოლმე, ხშირად ნაკლებ ლოგიკურ სვლებსაც კი თამაშობენ, რათა მეტოქეს საშნაო ანალიზის გამოყენების საშუალება არ მისცენ. ჩვენ არ გვახსოვს გადადებული პარტიების დამთავრება, რომელსაც სიურპრიზები არ მოეტანოს. თუმცა ახლანდელი სიურპრიზები მეტისმეტი გამოდგა.

„საშიშროება დაყოვნებაშია“ — ამბობდნენ ძველი რომაელები. მაგრამ არანაკლები საშიშროება აჩქარებაშიც გახლავთ. ეს ჩიბურდანიძე-კოზლოვსკაიას, თუ შეიძლება ასე ითქვას, „მრავალტანჯულმა“ პარტიამაც დაამტკიცა. მისი დამთავრების წინ ჩვენ ვესაუბრეთ ჩიბურდანიძის მწვრთნელ ოსტატ შიშოს, რომელმაც თქვა, რომ ჩიბურდანიძეს გაუჭირდებოდა ყაიმის მიღწევა. მაგრამ აი დაიწყო პარტიის დამთავრება. ჩვეულებრივ ასე მშვიდი და მეთოდური კოზლოვსკაია აჩქარდა და მისი ზედმეტი პაიკის მიუხედავად დაფაზე საყაიმო პოზიცია წარმოიქმნა. „შეცდომათა კომედია“ ამით არ დამთავრებულა. ახლა უკვე ჩიბურდანიძე აჩქარდა და თავისი ერთადერთი პაიკი მეტოქეს „აჩუქა“. დიახ, სწორედ რომ აჩუქა — ახლა კოზლოვსკაიამ ეტლების ენდშპილში ორი ზედმეტი „ჯანმრთელი“ პაიკი და იოლად მოსაგები პოზიცია მიიღო. აქ ხაზი უნდა გავუსვათ ჩიბურდანიძის დიდებულ საბრძოლო თვისებებს. ბევრი მოჭადრაკე აქ საათს გაანერვებდა. მაგრამ ჩიბურდანიძემ სწორად გათვალისწინა, რომ ჭადრაკში „დანებება არასოდეს არ არის გვიან“. მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტი, ცხადია, წარმატებაში დარწმუნებული იყო. ჯერ უმნიშვნელო შეცდომა მოუვიდა, შემდეგ უფრო მნიშვნელოვანი, შემდეგ... დაფაზე იშვიათი პოზიცია შეიქმნა, სადაც ორი ზედმეტი პაიკიც კი არ ეძლევდა პრეტენდენტს მოგების და მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ. ეს გახლავთ ალბერტი ნახევარი ქულა, რომელიც ამ ტურნირში დაკარგა კოზლოვსკაიამ. შემდეგ დვი ყაიმზე შეუთანხმდა ტერენსასაც, რომელიც დიდხანს თანაბარ პოზიციაში მოგვრიებისაკენ მიისწრაფოდა. მესამე გადადებული პარტია კოზლოვსკაიამ წარმატებით დაამთავრა — პირველი დამარცხება მიაყენა მოროზოვას და შეინარჩუნა ერთპიროვნული ლიდერობა.

სამ პარტიას ამთავრებდა გაფრინდაშვილი. მსოფლიოს ჩემპიონებს ძმიმე ხვედრი აქვთ — როგორც არ უნდა გამოდიოდეს ტურნირში მოჭადრაკე, მათ წინააღმდეგ ადრინდელ „ქრილობებს“ ივიწყებენ და დიდი აღმავლობით თამაშობენ. ეს ამ შემთხვევაში ბორისენკოს ეხება. წარსულში ეს გამოჩენილი ოსტატი ახლა მარცხიანად გამოდის. უფრო კონკრეტულად — იგი ახლა უკანასკნელ, მეოცე ადგილზეა. თითქოს ეს არაფერიაო, ბორისენკო დიდი შეუპოვრობითა და მოთმინებით თამაშობდა და ბოლოს ამ შეხვედრაში ყაიმი აღინიშნა. „მძიმეა მონომახის ქუდი!“. დანარჩენი ორი პარტია შულსა და მულენკოსთან მსოფლიოს ჩემპიონმა იოლად მოიგო — მის მეტოქეებს რიგიანი დაცვა არ აღმოაჩნდათ.

მოჭადრაკე ქალები ერთასანაბარ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ზოგს ქმარი გროსმაისტერი ჰყავს, ზოგს... უბრალო გულშემატკივარი. ცხადია, ზატულოვსკაია თავის „მეუღლეზე, ფეხბურთის ცნობილ მიმომხილველ ალერი ვინოკუროვზე გაცილებით უკეთ თამაშობს ჭადრაკს. ეს გამოჩენილი ოსტატი ჯერჯერობით ფორმაში არ არის, სამი გადადებული პარტიიდან მხოლოდ ერთი ქულა მოგვიგია.

გუშინ მერვე ტურში სტრელნიკოვამ მოიგო გაფრინდაშვილს, ალეიხინამ — ფომინას, მოროზოვამ — სტერნინას. ყაიმზე შეთანხმდნენ მედიანიკოვა-კისლოვა და პედკო-კოზლოვსკაია.

8 ტურის შემდეგ 6,5 ქულით პირველ ადგილზეა კოზლოვსკაია. ზვორიკინას 5,5 ქულა და ეშთი გადადებული პარტია აქვს, გაფრინდაშვილს — 5 ქულა.

გ. გამრეკელი.

ტურნირის მონაწილენი

ალექსანდრა კისლოვა
საერთაშორისო ოსტატი

სპორტის ამბები

● **კალათბურთი.** თბილისის „დინამოს“ ვაჟთა გუნდმა საკავშირო პირველობის მორიგ მატჩში კაუნასში დაამარცხა ადგილობრივი „უალგირისი“ — 72:66 (40:33).

● **ფარდაკი.** მსოფლიოს ექსჩემპიონმა მიხეილ ტალმა და საერთაშორისო გროსმაისტერმა რატმერ ხოლმოვმა 11-11 ქულით გაიყვეს პირველი-მეორე ადგილი საერთაშორისო ტურნირში, რომელიც ქალაქ ლონდონში ჩატარდა. შეჯიბრებაში მონაწილეობდა ექვსი ქვეყნის 16 მოჭადრაკე.

● **ფეხბურთი.** „ოქროს ბურთი“ — ევროპის 1973 წლის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი მიენიჭა ცნობილ ჰოლანდიელ თავდამსხმელს, 26 წლის იოჰან კრუიფს. ევროპის ფეხბურთის მიმომხილველთა ტრადიციულ კამოკითხვაში, რომელიც მოაწყო ჟურნალი „ფრანს ფუტბოლმა“, მან 96 ქულა მოაგროვა. კრუიფი მეორედ დაეუფლა ამ საპატიო პრიზს. მეორე ადგილზე ბამოვიდა იტალიელი მეკარე დინო ზოფი (ტურინის „იუვენტუსი“) — 47 ქულა, მესამეზე — გერდ მიულერი (მიუნხენის „ბავარია“). ხუთეულში შედიან აგრეთვე მისი თანამოელეები ფრანც ბეკენბაერი და ბილი ბრემნერი (ინგლისის „ლიდს იუნაიტედი“).

ჩამოერთვა საპატიო წოდება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1973 წლის 19 დეკემბრის დადგენილებით ჩამოართვა დამსახურებული ექიმის საპატიო წოდება ლაგოდეხის რაიონული საავადმყოფოს ყოფილ ექიმს ერასტი ნიკოლოზის-ძე მამაცაშვილს, იმასთან დაკავშირებით, რომ იგი მსჯავრდებულია მძიმე დანაშაულისათვის.

დ. ბრაგვაძე

გარდაეცვალა ბაკურ წვრილ 1920 წლიდან პრესაში ნაღდად მოღვაწე ბატონი სიმონის-ძე ბრაგვაძე. დ. ბრაგვაძე დაიბადა 1897 წელს თიანეთში, ღარიბი გლეხის ოჯახში. ძველი, ფუხჭირი ცხოვრების სიმწარე რომ იგემა, იგი რევოლუციურ მუშაობაში ებმება 1918 წლიდან. 1919 წლიდან თიანეთის ბოლშევიკური ორგანიზაციის აქტიური წევრია, ხოლო 1920 წელს შედის ბოლშევიკური პარტიის გვ. ბ. ბ. ბ